საავტორო უფლებათა დაცვა შედგენილ ნაწარმოებში. საავტორო უფლებით დაცული ობიექტების ხელმისაწვდომობა

საქართველოს
საავტორო უფლებათა
ასოციაცია
კოლექტიური მართვის ორგანიზაცია

თბილისი, 2017

საერთაშორისო კონვენციები

კონსტიტუცია

კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი

სისხლის სამართლის კოდექსი

საავტორო უფლება არის უფლება, რომელიც ვრცელდება მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებზე.

საავტორო უფლება ვრცელდება ყველა იმ ნაწარმოებზე, რომელიც წარმოადგენს ინტელექტუალურშემოქმედებითი საქმიანობის შედეგს და არსებობს ობიექტური ფორმით, მიუხედავად იმისა, მოხდა თუ არა მისი გამოცემა ან საჯარო გაცნობა.

საავტორო უფლება ვრცელდება ნაწარმოებზე განურჩევლად მისი დანიშნულებისა, ავკარგიანობისა, ჟანრისა, მოცულობისა, გამოხატვის ფორმისა და საშუალებისა.

საავტორო უფლება წარმოიშობა ნაწარმოების შექმნის მომენტიდან. ნაწარმოები შექმნილად ითვლება, როდესაც იგი გამოხატულია რაიმე ობიექტური ფორმით, რაც მისი აღქმისა და რეპროდუცირების საშუალებას იძლევა.

საავტორო უფლების წარმოშობისა და განხორციელებისათვის აუცილებელი არ არის ნაწარმოების რეგისტრაცია, სპეციალური გაფორმება ან სხვა ფორმალობათა დაცვა.

ავტორს უფლება აქვს განახორციელოს ნაწარმოების ორიგინალის ან ასლის დეპონირება „საქპატენტში“, ასევე გამოიყენოს საავტორო უფლების დაცვის ნიშანი რომელიც შედგება სამი ელემენტისგან:

ა) C წრეწირში ©
ბ) განსაკუთრებული საავტორო უფლების მფლობელის სახელი
გ) ნაწარმოების პირველი გამოცემის წელი

ლიტერატურული ნაწარმოები - მოთხრობა, ლექსი, პოემა, ნოველა და სხვა.

ხელოვნების ნაწარმოები - მუსიკალური, ქორეოგრაფიული, დრამატული, აუდიოვიზუალური, სახვითი ხელოვნების, ფოტოგრაფიული, არქიტექტურული ნაწარმოები და სხვა.

მეცნიერების ნაწარმოები - რუკა, გეგმა, ესკიზი, კომპიუტერული პროგრამა, დისერტაცია და სხვა.

შედგენილი ნაწარმოები - კრებული, ენციკლოპედია, ანთოლოგია და სხვა.

გადამუშავებული ნაწარმოები - თარგმანი, მხატვრული ნაწარმოების პწკარედი, ადაპტაცია, ეკრანიზაცია, მიმოხილვა, ინსცენირება, კომპილაცია, მუსიკალური არანჟირება და სხვა.

ავტორი არის ფიზიკური პირი, რომლის ინტელექტუალურშემოქმედებითი საქმიანობის შედეგადაც შეიქმნა ნაწარმოები. ავტორი შეიძლება იყოს: კომპოზიტორი, რეჟისორი, სცენარის ავტორი, მეცნიერი, მწერალი, პოეტი, დრამატურგი, მხატვარი, ქორეოგრაფი, ფოტოხელოვანი, დიზაინერი, არქიტექტორი და სხვა

ნაწარმოები შეიძლება შეიქმნას ორი ან მეტი პირის მიერ ერთობლივად. ასეთ შემთხვევაში მის შემქმნელებს საავტორო უფლება წარმოეშობათ თანაბრად და ისინი ხდებიან თანაავტორები. ნაწარმოების გამოყენება რეგულირდება თანაავტორთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით.

საავტორო უფლების მფლობელები ასევე არიან შედგენილი და გადამუშავებული ნაწარმოების ავტორები. მათ ეკისრებათ ვალდებულება დაიცვან თავდაპირველი ნაწარმოებების ავტორთა საავტორო უფლება.

საავტორო უფლება არ ვრცელდება:

იდეებზე, მეთოდებზე, პროცესებზე, სისტემებზე, საშუალებებზე, კონცეფციებზე, პრინციპებზე, აღმოჩენებსა და ფაქტებზე;

ოფიციალურ დოკუმენტებზე (კანონები, სასამართლოს გადაწყვეტილებები, ადმინისტრაციული და ნორმატიული ხასიათის სხვა ტექსტები);

სახელმწიფოს ოფიციალურ სიმბოლოებზე (დროშა, გერბი, ჰიმნი, ჯილდოები, ფულის ნიშნები, სახელმწიფოს სხვა ოფიციალური ნიშნები და სიმბოლოები);

ინფორმაციებზე ფაქტებისა და მოვლენების შესახებ.

პირადი არაქონებრივი უფლებებია: ავტორობის, სახელის, ნაწარმოების შექმნის ფაქტის გასაჯაროების, ნაწარმოების ხელშეუხებლობის, რეპუტაციის პატივისცემის, ნაწარმოებზე სხვა ნაწარმოებთა დართვის და ნაწარმოების გამოხმობის უფლება.

ქონებრივი უფლებებია: ნაწარმოების გამოყენების განსაკუთრებული უფლება, რაც ნიშნავს ნაწარმოების ნებისმიერი ფორმით გამოყენებაზე ნების დართვას ან აკრძალვას.

საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელი შესაძლებელია იყოს არამარტო ავტორი, არამედ სხვა ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელმაც მემკვიდრეობით და/ან ხელშეკრულების საფუძველზე მიიღო ეს უფლება.

საავტორო უფლების გადაცემა ხდება ხელშეკრულებით ან მემკვიდრეობით.

ხელშეკრულებით შეიძლება გადაცემულ იქნას მხოლოდ საავტორო ქონებრივი უფლებები. პირადი არაქონებრივი უფლებები ხელშეკრულებით არ გადაიცემა.

მემკვიდრეობით გადაიცემა საავტორო ქონებრივი უფლებები და პირადი უფლებებიდან მხოლოდ ნაწარმოებზე სხვა ნაწარმოებთა დართვის უფლება.

ავტორობის, სახელისა და ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლებები მემკვიდრეობით არ გადადის. მემკვიდრეებს უფლება აქვთ განახორციელონ აღნიშნულ პირად უფლებათა დაცვა უვადოდ.

ნაწარმოების გამოყენებაზე ნებართვის გაცემა ხდება სალიცენზიო ხელშეკრულებით.

ლიცენზია შეიძლება იყოს ჩვეულებრივი და განსაკუთრებული

ნაწარმოები შეიძლება შეიქმნას ხელშეკრულების საფუძველზე.

შეკვეთის შედეგად შექმნილ ნაწარმოებზე საავტორო ქონებრივი უფლებები ეკუთვნის შემკვეთს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საავტორო უფლებების გადაცემის შესახებ ხელშეკრულება, ნაწარმოების შექმნის შესახებ ხელშეკრულება და სალიცენზიო ხელშეკრულება უნდა დაიდოს წერილობით.

სამსახურებრივი ნაწარმოები წარმოადგენს ნაწარმოებს, რომელიც შექმნილია დასაქმებულის მიერ სამასახურებრივი მოვალეობის განხორციელების დროს და ფარგლებში.

სამსახურებრივ ნაწარმოებზე საავტორო ქონებრივი უფლებები ეკუთვნის დამსაქმებელს თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ავტორობის, სახელის, ნაწარმოების ხელშეუხებლობისა და რეპუტაციის პატივისცემის უფლება მოქმედებს უვადოდ.

საავტორო უფლება მოქმედებს ავტორის სიცოცხლეში და მისი გარდაცვალებიდან 70 წლის განმავლობაში

ზიანის ანაზღაურება, მიუღებელი შემოსავლის ჩათვლით

ზიანის ანაზღაურების ნაცვლად იმ შემოსავლის ჩამორთმევა, რომელიც დამრღვევმა მიიღო უფლებების დარღვევის შედეგად

კომპენსაცია არანაკლებ მისაღები ფულადი ანაზღაურების ათმაგი ოდენობისა

ჯარიმა 500 იდან 3 000 ლარამდე, განმეორებით ჩადენის შემთხვევაში 3000-დან 5000 ლარამდე

თავისუფლების აღკვეთა 3 წლამდე ვადით

ინდივიდუალური მართვა

დადებითი მხარეები
ჰონორარის განსაზღვრის თავისუფლება
სარგებლობის ინდივიდუალური პირობები

უარყოფითი მხარეები
ჰონორარის სიმცირე
სუსტი კონტროლი
დიდი დროითი და ფინანსური რესურსი
მოსარგებლეთა სიმრავლე

კოლექტიური მართვა

უარყოფითი მხარეები
ჰონორარის განსაზღვრის შეზღუდვა
განკარგვის ერთიანი პირობები

დადებითი მხარეები
შესაბამისი ჰონორარი
რესურსების ეკონომია
სისტემური კონტროლი
მასშტაბური წვდომა


ნაწარმოები
წევრობა
ლიცენზია
ლიცენზიის
საფასური
ჰონორარი

GCA
საქართველოს
საავტორო უფლებათა
ასოციაცია
კოლექტიური მართვის ორგანიზაცია
ჰონორარის შეგროვება-განაწილება

წინასწარი ნებართვა

საავტორო უფლება მასალის შერჩევასა და განლაგებაზე

ცალკეული ნაწარმობების დამოუკიდებლობა

მასალის შემადგენლობა

გამოყენების ნებართვა

გამომცემლის სახელის მითითების ვალდებულება

გამოცემაში შესული ნაწარმოების ავტორების უფლებრივი დამოუკიდებლობა

სახელშეკრულებო შეზღუდვა

რეპროდუცირება ფიზიკურ პირთა მიერ პირადი სარგებლობის მიზნით.

რეპროგრაფიული გამრავლება ბიბლიოთეკების, არქივებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ.

ციტირება ან ილუსტრაცია სამეცნიერო, კვლევითი, პოლემიკური, კრიტიკული და საინფორმაციო მიზნებისათვის და ამ მიზნის შესაბამისი მოცულობით.

ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ და რელიგიურ საკითხებზე გამოქვეყენებული სტატიების გამოყენება, თუ ასეთი გამოყენება არ არის აკრძალული საავტორო უფლების მფლობელის მიერ.

მიმდინარე მოვლენების პროცესში დანახული ან მოსმენილი ნაწარმოების გამოყენება მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც გამართლებულია საინფორმაციო მიზნით.

საჯაროდ წარმოთქმული მოხსენების, სიტყვის, ლექციის, მიმართვის, ქადაგების და მსგავსი ნაწარმოებების გამოყენება მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც გამართლებულია საინფორმაციო მიზნით.

თავისუფალი დასწრებისათვის ღია ადგილებში მუდმივად განლაგებულ არქიტექტურულ, ფოტოგრაფიულ, სახვითი ხელოვნების ნაწარმოებთა რეპროდუცირება ან საჯარო გადაცემა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ნაწარმოების გამოსახულება წარმოადგენს ასეთი რეპროდუცირების ან საჯარო გადაცემის ძირითად ობიექტს ანდა გამოიყენება მოგების მიღების მიზნით.

საჯარო შესრულება ოფიციალური, სამგლოვიარო და რელიგიური ცერემონიების დროს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც გამართლებულია ასეთი ცერემონიის ხასიათით.

ნაწარმოების რეპროდუცირება სასამართლო წარმოებისათვის, მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც განსაზღვრულია დასახული მიზნით.

საეთერო მაუწყებლობის ორგანიზაციის მიერ ნაწარმოების მოკლევადიანი ჩაწერა საკუთარი გადაცემისთვის საკუთარი მოწყობილობით.

გმადლობთ ყურადღებისთვის!